# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 29

ქ ბათუმი

14 სექტემბერი 2004 წ

სხდომას თავმჯდომარეობდა — უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფალავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გუგული დუაძე, ქეთევან ჯიქია, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე,

აგრეთვე ესწრებოდნენ უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი ვ. გიორგაძე, საერთო სამსახურის უფროსი გ. კახიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნ. ნაკაშიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი გ. ჯორთმენაძე, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლები.

სხდომას არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები სიმონ ჩხაიძე, გიზო მჭედლიძე

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -7
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

# დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

2. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონპროექტის განხილვის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ"

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -7
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი)

2. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონპროექტის განხილვის შესახებ

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ". მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს უნდა გაეცნოს არა მარტო კომისიის წევრები, არამედ კომისიის აპარატის თანამშრომლებიც, ყველამ თავისი შენიშვნები და წინადადებები წერილობითი სახით წარმოადგინოს 10 დღის ვადაში უმაღლესი საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომაზე. ჩვენს მიერ განხილული კანონპროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, დასძინა ი. ფაღავამ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა: გ. დუაძემ, ქ. ჯიქიამ, გ. ბზიკაძემ.

დაავალეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსს გ. კუჭაშვილს დაევალა წარმოდგენილი კანონპროექტის გადამრავლება და განსახილველად დაგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც თავიანთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს წარმოადგენენ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ერთი კვირის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია